

## საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების 052/13<sup>1</sup> მიმოხილვა

გიორგი გიორგაძე (სტუდენტი)

### ფაქტები

ადვოკატსა და კლიენტს შორის გაფორმდა ხელშეკრულება საადვოკატო მომსახურებაზე სამკვიდრო დავის თაობაზე, რისთვისაც კლიენტმა ადვოკატს გადაუხადა 1000 (ათასი). საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა მას საქმის მოგების 90% გარანტია მისცა, რადგან ხელთ ჰქონდათ ის გაყალბებული დოკუმენტები, რომლის საფუძველზეც მოპასუხემ შეძლო ბინის თავის სახელზე დარეგისტრირება. ამასთან, ადვოკატმა განუმარტა, რომ ნაცნობები ჰყავდა სამართალდამცავ ორგანოებში, რომელიც დაეხმარებოდა გამოძიების დაწყებაში. თუმცა, საქმეზე არ დაიწყო გამოძიება დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო. საჩივრის ავტორის განცხადებით, მას ადვოკატმა დაუმალა ის ფაქტი, რომ ადვოკატს შეჩერებული ჰქონდა საადვოკატო უფლებამოსილება და ეს ფაქტი კლიენტმა შეიტყო მხოლოდ სააპელაციო სასამართლოში პროცესის დაწყებამდე მოსამართლისაგან. საჩივრის ავტორის განცხადებით, იგი დარწმუნდა, რომ ადვოკატმა სარჩელზე უარი ათქმევინა მხოლოდ იმ მიზეზით, რათა მიეჩქმალა მისი საადვოკატო უფლებამოსილების შეწყვეტის ფაქტი. საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა გადაწყვიტა, რომ დავა ეწარმოებინა ადმინისტრაციული კუთხით და სარჩელი შეიტანა საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ კოლეგიაში. საჩივრის ავტორი, ადმინისტრაციული დავის დაწყების წინააღმდეგი იყო, თუმცა, ადვოკატმა მისი მოსაზრება არ გაითვალისწინა და ადმინისტრაციული დავაც წააგო ადვოკატმა. ამ სხდომაზე კლიენტმა შეიტყო, რომ მის ადვოკატს უფლებამოსილების აღსადგენად გადახდილი ჰქონდა 100 ლარი, თუმცა უფლებამოსილება კვლავ შეწყვეტილი ჰქონდა. ადვოკატის განცხადებით, საჩივრის ავტორისათვის საქმის მოგების გარანტია არ მიუცია. ის უბრალოდ აფასებდა საქმის წარმატებულად დამთავრების შესაძლებლობებს. ადვოკატი ადასტურებს, რომ უფლებამოსილება შეუწყდა 2011 წლის 01 ნოემბრიდან ხოლო, საადვოკატო უფლებამოსილება აღუდგა 2012 წლის იანვარში. თბილისის სააპელაციო სასამართლოს საქმეთა პალატაში საქმის განხილვა დაიწყო 2011 წლის 30 ნოემბერს, ამ დროს ადვოკატს საადვოკატო უფლებამოსილება შეწყვეტილი ჰქონდა. ადვოკატის განმარტებით, სააპელაციო სასამართლოში სხდომაზე მისვლამდე მან არ იცოდა, რომ უფლებამოსილება ჰქონდა შეჩერებული, წინააღმდეგ შემთხვევაში არ გადადგამდა ამ ნაბიჯს და მოსამართლესთან იშუამდგომლა პროცესის გადადების თაობაზე. ადვოკატის განმარტებით, იგი საქმეს აწარმოებდა პირველი ინსტანციის სასამართლოში, ხოლო სააპელაციო წესით საქმის განხილვისას საჩივრის ავტორმა უარი თქვა სარჩელზე, ვინაიდან ვერ მოიპოვეს დამატებითი მტკიცებულებები.

### პროცესუალური ისტორია

<sup>1</sup>[https://www.gba.ge/pdf/5c5c280109e1f.pdf/052\\_13\\_23.06.2014%20gaftrkxileba.pdf?fbclid=IwAR2fq5FPPwzSW47KB4GcnD1mXnVTsLVzZjZnT4QC1LMwa6l8jb2llujWew](https://www.gba.ge/pdf/5c5c280109e1f.pdf/052_13_23.06.2014%20gaftrkxileba.pdf?fbclid=IwAR2fq5FPPwzSW47KB4GcnD1mXnVTsLVzZjZnT4QC1LMwa6l8jb2llujWew)

კლიენტმა საჩივრით მიმართა ეთიკის კომისიას და მოითხოვა ადვოკატის დისციპლინირება. საპროცესო კოლეგიამ აღძრა დისციპლინური დევნა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 5(ა), 6.2, აპეკ-ის 8.5, 8.6 მუხლების დარღვევის ფაქტზე.

### **სამართლებრივი შეფასება**

ადვოკატმა საქმის წარმოებისას კლიენტს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მისი საქმის მიმდინარების თაობაზე, რაც მოიცავს სრული ინფორმაციის დროულად მიწოდებას. კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდება საშუალებას აძლევს მას, რომ ჩართული იყოს საქმის მსვლელობის პროცესში. კლიენტის მიერ ადვოკატისათვის რწმუნებულებით უფლებამოსილების მინიჭების მიუხედავად, ადვოკატი ვალდებულია კლიენტთან შეათანხმოს საქმის წარმოებისას მის მიერ განსახორციელებელი მოქმედება. ადვოკატის პროფესიული ვალდებულება მოითხოვს კვალიფიციური და კეთილსინდისიერი მომსახურების გაწევას. ადვოკატმა უნდა უზრუნველყოს მის სტატუსთან დაკავშირებული ყველა ვალდებულების შესრულება, მათ შორის საწევრო გადასახადის გადახდა, რათა ხელი არ შეეშალოს კლიენტის წარმომადგენლობაში. კლიენტს უნდა სცოდნოდეს, რომ ადვოკატის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში მას არ ექნებოდა უფლება დაეცვა მისი ინტერესები სააპელაციო სასამართლოში. სააპელაციო სასამართლოს სხდომა ჩატარდა 2011 წლის 30 ნოემბერს, შესაბამისად, ადვოკატს ჰქონდა გონივრული ვადა და ობიექტური შესაძლებლობა, რომ კლიენტისთვის მიეწოდებინა ინფორმაცია მისი უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ. კლიენტის დროული ინფორმირებულობა აუცილებელია იმისათვის, რომ მან მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა საკუთარი ინტერესების დასაცავად. ინფორმაციის მიუწოდებლობით ადვოკატმა მისი კლიენტი დატოვა დაუცველი სააპელაციო სასამართლოში, რადგან მას არ ჰქონდა ობიექტური შესაძლებლობა ესარგებლა სხვა ადვოკატის იურიდიული დახმარებით.

### **დასკვნა**

ეთიკის კომისიამ დაადგინა ადვოკატის მხრიდან ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 6.2 და 8.6 მუხლების დარღვევა. ადვოკატს სახდელის სახით დაეკისრა გაფრთხილება.